პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 6 23 00001171

21/02/2023

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილეს,
ბატონ გელა გელაშვილს,

ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის
შესყიდვების მენეჯერის
გვანცა სისოშვილის

მოხსენებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის" 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს, როდესაც შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება წარმოადგინა სულ მცირე ერთმა პრეტენდენტმა ან როდესაც მიენიჭა სტატუსი ,,ტენდერი შეწყვეტილია", ხოლო, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როდესაც შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ პრეტენდენტს - 25.00 (ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს. ამასთან, „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გადახდის დანიშნულების ველში უნდა მიეთითოს: „ქვეკოდი – 9001, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური“.

ნ. ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელფოსტა: office@pdps.ge

7, N. Vachnadze Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdps.ge

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის 31 იანვრის მდგომარეობით სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიმართ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ერიცხება ვალდებულება 325 (სამას ოცდახუთი) ლარის ოდენობით.

გთხოვთ თქვენს თანხმობას, აღნიშნული ვალდებულების დაფარვის თაობაზე.

გვანცა სისოშვილი

შესყიდვების მენეჯერი
ადმინისტრაციული და ეკონომიკური
უზრუნველყოფის დეპარტამენტი